ხუთშაბათი, 5 აპრილი 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 75

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და ლექსები. წერილებით ლაპარაკისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

პარასკევს, 6 აპრილს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

## გიორგი სპირიდონის ძის განძიელის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი ნადეჟდა გაბრიელის ასული განძიელისა. ამავე დღეს აკურთხებენ ძეგლს. პანაშვიდი დაიწყება $11^{1}/_{2}$ საათზე. (1—35—1)

ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 4 აპრილს გარდაიცვალა სამსახურს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი

## ვლადიმერ ბეჟანის ძე კობალაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და თანამოსამსახურეთ განსვენებულის მეუღლე სოფიო სოლომონის ასული და შვილი გიორგი კობალაძენი. პანაშვიდები 5 და 6 აპრილს, საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაზე (ავჭალის ქუჩა, № 14). ცხედრის გამოსვენება შაბათს, დილის 9 საათზე, ბინიდან ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ხოლო იქიდან დასაკრძალავად კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე.

კნეინა ბარბარე სპირიდონის ასული წერეთლისა და თავადი სპირიდონი (გუგული) სერგეის ძე წერეთელი აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობებს, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი პირველის დაუვიწყარის ქმრის და უკანასკნელის საყვარელ მამის

## სერგეი გრიგორის ძის წერეთლის

სულის მოსახსენებლად დანიშნულია სამშაბათს 10 ამა მდგომარე აპრილისთვის, დაბა საჩხერეში წმ. მაცხოვრის ეკკლესიაში, დილის 9 საათზედ. (1—34—1)

მწუხარებით დატანჯულნი: დიანოსე მახარბელისძე და მიხაკო დიანოსეს ძე სვანიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შაბათს, შვიდ (7) აპრილს წიფნაგვარის წმინდა გიორგის ეკკლესიაში (ოზურგეთის მაზრა) გადახდილი იქნება საორმოცო წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის: პირველის—შვილისა, მეორის—ძმისა

## სიმონ დიანოსეს ძე სვანიშვილისა.

წირვა დაიწყება დილის ათ საათზედ. (5—26—3)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 6—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—74)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი

**ი. ზ. კანდელაკი**

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბუელაძისა, № 26. (25—5.—19

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—$11^{1}/_{2}$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—82)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

**ტფილისში**

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სნფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი**: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი**: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ავეტისოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**ვ. ვ. კიმონტი**: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**პ. ა. ზეიერი**: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

**ი. ნ. თუმანოვი**: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—48)

ექიმი

**ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—22)

ექიმი

**კ. ი. გძელიშვილი**

იღებს **ყურის, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწულოვისა. (25—2)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (32)

**რადგან** 20 მარტს ვერ შესდგა კანონიერი ჩვეულებრივი კრება **ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა**, ამისთვის, წესდების მე 35 მუხლის თანახმად, **მოხდება მეორე კრება 1907** წლის 5 აპრილს დილისით ხუთშაბათს, ჭიათურის თეატრის დარბაზში. თანახმად წესდებისა, რამდენი წევრიც უნდა შეიკრიბოს, ამ დღეს კრება მაინც კანონიერად იქნება აღიარებული.

განსახილველი საგნები იგივეა, რაც პირველად იყო გამოცხადებული. (3—6.—3)

ქუთ. სასოფლო-სამეურნეო ამხ.

## „კოლხიდა“

აწვდის სოფლის მეურნეთგან **შემოწმებულ აბრეშუმის თესლს**, ცნობილ ფირმებისას; უცხოეთიდან გამოწერილ ბოსტნისა და ბალახების თესლეულობას. **(იონჯა, კონდარი)**, ხეხილების და ყვავილების ნერგებს. იქვე მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი—მეაბრეშუმეობისა, ? ფუტკრეობისა, ბოლოსნობისა და სხვა. 15 მარტიდან კვირა-პარასკევობით ამხანაგობა გამართავს საუბარს სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. (30—6.—21)

## საცეკვაო საღამო

გაიმართება შაბათს 7 აპრილს, საღამოს 8 საათიდან. საღამო იმართება მირიანოვის კერძო პროფესიონალურ სკოლის სასარგებლოდ.

ადრესი: ავჭალის ქუჩა, № 29, სახლი ყულუმბეგოვისა. ბილეთები იყიდება სკოლაში. პირველი თუმანოვის ქ., სახლი ძნელაძისა. ((2—30—2)

5 აპრილიდან ქ. ტფილისში გამოვა ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ლახვარი

გაზეთი წლიურად ღირს 7 მანეთად, თვიურად ტფილისში—70 კ. ტფილისს გარედ 80 კ. ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ. კანტორის ადრესი: Тифлисъ, Малованкская № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „ЛАХВАРИ“. (2—2)

**რ**ადგან 31 მარტს არ შესდგა კრება იმ მოსამსახურეებისა სახელოსნოებში, რომელთაც გაწერილი ჰქონდათ 1906 წ. სამრეწველო გადასახადი,

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

კიდევ ერთხელ და უკანასკნელად იწვევს ზემოხსენებულ მოსამსახურეთ ტფილისის საბჭოში პარასკევს, 6 აპრილს, საღამოს 7 საათზე, თანახმად 1906 წ. 15 ნოემბრის უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა საბჭოს დებულებისა, წარმომადგენელთა ასარჩევად იმ კომისიაში, რომელმაც სავალდებულო დადგენილებანი უნდა შეიმუშაოს შესახებ მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენებისა.

ამასთან ვატყობინებთ მათ, რომ:

1) კრებას უნდა დაესწრნენ სახელოსნოში მოსამსახურე სრული წლოვანი, თითო კაცი თითო სახელოსნოდან, რომელიც არჩეული უნდა იყოს როგორც წარმომადგენელი ამ სახელოსნოს სრულ წლოვანთაგან.

2) წარმომადგენლებმა კრებაზე შემოსვლის დროს უნდა წარმოადგინოს მოწმობა მისი არჩევის შესახებ, რომელზედაც ხელი უნდა ჰქონდეთ მოწერილი მის ამომრჩევლებს.

3) საარჩევნო კრება კანონიერია, რამდენი ამომრჩეველიც უნდა დაესწროს მას. (1—6.—1)

**წერა-კითხვის საზოგადოების** წიგნის მაღაზიაში

**იყიდება**

დამშეულ მეგრელთა სასარგებლოდ

## „НЕТРОНУТЫЙ УГОЛОКЪ“

Грузинскіе разсказы

**Д. Ведребисели** (Д- К. Маліевой)

ფასი **ერთი** მანეთი (10—6.—4)

ქართველ მასწავლებელთა წრემ გადასწყვიტა გამოსცეს

## პედაგოგიური კრებული

შემდეგის შინაარსით:

1. სწავლა განათლების დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში.
2. პედაგოგიური წერილები სხვა და სხვა საკითხის შესახებ.
3. პოპულიარული წერილები მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან.
4. წერილები სხვა და სხვა ქვეყანაში არსებული მასწავლებელთა კავშირების და საზოგადოებების შესახებ.
5. წერილები პროვინციიდან.

ვსთხოვთ მასწავლებლებს და სწავლა-განათლების თანამგრძნობთ, მოგვაწოდონ შესაფერი მასალა 1 მაისამდე.

ადრესი: ტფილისი, ქართული გიმნაზია, პეტრე სურგულაძეს. (5—უ—1)

ტფილისის ქალაქის

## გამგეობა

აცხადებს, რომ რადგან 22 მარტს დანიშნული კრება **ტფ. სავაჭრო დაწესებულებებში მსახურთა** ვერ შესდგა, მეორე კრება ამ მსახურთა დანიშნულია კვირას, 8 აპრილს, დილის 11 საათზე „ტიფლ. სობრანიეს“ საზაფხულო სადგომში, მიხეილის ქუჩაზე. კრებამ, 1906 წლის 15 ნოემბრის **უმაღლესად** დამტკიცებულის მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად, უნდა აირჩიოს წარმომადგენლები კომისიაში, იმ სავალდებულო დადგენილებათა შესამუშავებლად, რომელნიც შეეხებიან ხსენებულ დაწესებულებათა მსახურების დასვენების ნორმალურ დროს. ამასთანავე გამგეობა იუწყება, რომ:

1) მცირე წლოვან მსახურთა მაგიერ კრებაში მონაწილეობას იღებენ არჩეული სრულ წლოვანნი მსახურნი, თითო კაცი თითო სავაჭრო დაწესებულებიდან.

2) 1-ლ პუნქტში აღნიშნულ არჩეულ წარმომადგენლებმა, საარჩევნო დარბაზში შესვლის დროს, უნდა წარადგინონ ამომრჩეველთა ხელმოწერილი მინდობილება. დანარჩენნი მსახურნი კი ვალდებულნი არიან წარადგინონ სავაჭრო დაწესებულებათა პატრონებისაგან შემოწმებული მოწმობები.

3. კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (1—6.—1—1)

### ტფილისი, 5 აპრილი

სახელმწიფო სათათბირომ და მთავრობამ მალე ხმა უნდა ამოიღონ კავკასიის შესახებ. როგორც გუშინდელმა დეპეშამ გვაცნობა, სათათბიროს 30 დეპუტატს შეკითხვა წარუდგენია მთავრობისათვის, რა მდგომარეობაშია სხვა-და-სხვა რეფორმების საქმე კავკასიაშიო და, კონსტიტუციის ძალით, მთავრობა ვალდებულია შეკითხვაზე პასუხი გასცეს. ამ გარემოებას, ეჭვი არაა, დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის: გავიგებთ, რას ჰფიქრობს და რა განზრახვა აქვს მთავრობას ჩვენის ქვეყნის შესახებ, გავიგებთ, როგორ მიეგებება რუსეთის წარმომადგენლობა ჩვენ ჭირ-ვარამს და თან ჩვენ საჭიროებათა შესახებ დაახლოვებითი ცნობები მიაღწევს მთელის რუსეთის ყურამდე.

შეკითხვა მრავალი მხრით შეეხება ჩვენის ქვეყნის ცხოვრებას. პირველი ადგილი უჭირავს კავკასიის პოლიტიკურ-უფლებრივ წყობილებას. ოცდაათი დეპუტატი ეკითხებიან მთავრობას: აქვს თუ არა მას განზრახვა გაადაკეთოს კავკასიის ნამესტნიკთან არსებული საბჭო ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლობით დაწესებულებად, ამ მუხლის გარჩევის დროს, დეპუტატებს საშუალება ეძლევათ წამოაყენონ ძირითადი საკითხი პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის შესახებ და განმარტონ, რა ყოფაში ჩაგვაყენა ბიუროკრატიულ-ცენტრალისტურმა რეჟიმმა, როგორ უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო კავკასია მოხელეთა თვითმპყრობელმა ბატონობამ; საშუალება ეძლევათ და უმდიდრესი მასალაც იმის დასამტკიცებლად, რომ ადგილობრივ საქმეთა მოწყობა და მართვა-გამგეობა მხოლოდ ადგილობრივ ხალხს შეუძლიან... შემდეგ შეკითხვა შეეხება ისეთ საჭირბოროტო საკითხებს, ისეთ ცნობილ საჭიროებათ, როგორიც არიან: ერობის შემოღება, დროებით ვალდებულობის ინსტიტუტის გაუქმება, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების დაწესება, პირველ დაწყებით საეროვნო სკოლის დაარსება, ადგილობრივ საადმინისტრაციო მმართველობათა გაუმჯობესება-გადაკეთება და სხვა. ყველა ამ „რეფორმათ“ ნახევარი საუკუნეა აგერ ამაოდ თხოულობს და ამაოდ მოელის ჩვენი ქვეყანა...

ვერ ვიტყვით, რომ შეკითხვა სავსებით აღნიშნავდეს ჩვენს უნუგეშო ყოფას და შეიცავდეს სრულს სისტემატიურს აღნუსხვას კავკასიის შესახების კანონმდებლობისას, მაგრამ ის-კი უნდა აღვიაროთ, რომ მათ ფარგალში ბევრი რამ ითქმის, ბევრი რამ უნდა იქნას რადიკალურად წამოყენებული. ეს პროგრამა რომ იქმნას განხორციელებული მოკლე ხანში, ამასაც მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენის ქვეყნისათვის. მაგრამ განხორციელებაც არის და განხორციელებაც. თითქმის ყველა აღძრულ საქმეზე ადგილობრივ მთავრობას თავისი პროექტი აქვს უკვე შემუშავებული. მათი დამზადება ხდებოდა ჩვეულებრივად ბიუროკრატიულს ლაბარატორიებში და, მაშასადამე, ჩვეულებრივი ბიუროკრატიული ხასიათი ექნება, ჩვეულებრივი „ნახევარ ზომები“ იქნება და არა ნამდვილი რეფორმები. ამ სახით მათი განხორციელება კარგსა და ბევრს არაფერს შეგვძენს. ამ მხრით ცოტა არ იყოს გაუგებარია, რათ უცდიან კავკასიის დეპუტატები მთავრობის პროექტებს, რატომ თითონ არ სარგებლობენ საკანონმდებლო ინიციატივით? მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ალბათ 30 დეპუტატს აზრად აქვთ თითონაც წამოაყენონ თავიანთი პროექტები, ოღონდ ჰსურთ ჯერ გაიგონ—თვით მთავრობას რა და როგორ აქვს დამზადებული: შეკითხვაში პირდაპირაა ნათქვამი, „ყველა ამის გაგება გვსურს იმიტომ, რომ უკეთესად გამოვიყენოთ ჩვენი საკანონმდებლო ინიციატივა“-ო.

არსებითად, ვიმეორებთ, 30 დეპუტატის საპროგრამო განცხადება სრული არაა; იგი მეტად ფრთაშეკრილიცაა და და კავკასიის სხვა და სხვა პარტია-ჯგუფების ზომიერი ნაწილებიც კი უფრო ფართო მოთხოვნათა პროგრამის ასრულებას მოელოდნენ და მოელიან. მაგრამ ჯერ ისიც ვნახოთ, რა განზრახვანი ასულდგმულებენ მთავრობას ჩვენის ქვეყნის ამა თუ იმ საჭიროების შესახებ და როგორ ესმის თვით სათათბიროს ჩვენი მდგომარეობა, რა გზას მიიჩნევს საუმჯობესოდ ჩვენის ხსნისათვის დაუსრულებელ ტანჯვა-ვაებისაგან. ჩვენ პირადათ დიდ იმედებს არ ვამყარებთ სათათბიროს მუშაობაზე: ახლანდელი უუფლებო, აბუჩად აგდებული ვითომდა სახალხო წარმომადგენლობა კი არა, თვით ნამდვილი პარლამენტი, სრულ-უფლებიანი და ძლიერიც ვერაფერს გვიშველის, თუ ცენტრალისტურს სისტემაზე დარჩა რუსეთის სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმე; ჩვენ ვიცით და ღრმად გვწამს, რომ მხოლოდ დეცენტრალიზაციის ფართო პრინციპებზე აგებული სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება იხსნის რუსეთს კრიზისისაგან და დაამყარებს ნამდვილ მოქალაქობრიობას ჩვენშიაც. მაგრამ ამის მომხდენი და განმახორციელებელი დღევანდელი სათათბირო ვერ შეიქნება: ამისათვის სულ სხვა პოლიტიკური კონიუნქტურაა საჭირო, სულ სხვაგვარი „ძალთა განწყობილება“. ჯერ-ჯერობით კი სათათბიროს მსჯელობას ჩვენს შესახებ უფრო მორალური მნიშვნელობა ექნება, სათათბიროს საქმიანობას კი მხოლოდ პალიატიური შედეგები მოჰყვება.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**ახ. სათათბიროს სხდომა.** 3 მარტს სხდომა დაიწყო 2 საათსა 51 წუთზე, პოზნანსკის თავმჯდომარეობით. წაიკითხეს სია მთავრობის მიერ შეტანილ კანონ-პროექტისა. პირველად სათათბიროს უნდა გაეხილა შეკითხვა რიგის სატუსაღოს დარაჯთა და პატიმართა შორის შეტაკების შესახებ.

რადიჩევმა წინადადება შეიტანა, შეკითხვა კომისიას გადაეცეს. ამით საქმეს

კანონიერი ელფერი მიეცემა და ფორმის შეუსრულებლობისათვის შეკითხვაზე უარს ვეღარ იტყვიანო. ასევე უნდა მოვექცეთ დღეს შემოტანილ ორ სხვა შეკითხვასაო.

იზოლმა მოითხოვა, შეკითხვა დღესვე განხილულიყო.

ბუდატი, შრომის ჯგუფის სახელით, იზოლს მიემხრო. იმის აზრით, იმ წუთს, როცა თოფები გატენილია და საველე სასამართლოს განაჩენებზეა დამოკიდებული 74 კაცის ბედი, ფორმის შეუსრულებლობისთვის მცირეოდენი დაყოვნებაც შეუძლებელია.

როდიჩევმა გაიმეორა თავისი წინადადება და სხვა კომისიაში გადაცემა პატიმართა სიკვდილისაგან დახსნისთვის არი საჭიროო. ამასთან განაცხადა, რომ სამინისტრომ უკვე ყველაფერი იცის და სათათბიროს კამათი მას ახალს არაფერს ეტყვის. მცირეოდენი ფორმალური შეცდომა კი, უბედურთათვის დამღუპველი იქნებაო.

ჯაფარიძემ იზოლს დაუჭირა მხარი. კუზმინ-კარავაევმა განაცხადა, რომ საქმის ფაქტიური მხარე კერძო ცნობებს არ ეთანხმებაო. კერძო ცნობებით, ტუსაღებს საველე სასამართლოში უპირებდნენ გარდაცემას და სიკვდილით დასჯას. ეს ცნობა მართალი არ არის. გუშინ ბევრმა დეპუტატმა დეპეშა გაუგზავნა და დღეს გენერალ გუბერნატორის ბარონ მელლერ-ზაკომელსკისაგან ასეთი პასუხი მოვიდა: „მიზეზი არ იყო საველე სამართალში მიეცათ არა თუ 74 კაცი, არამედ 7 და 4 კაციც. გადასარჩენი ჯერ-ჯერობით არვინ არის: (სიცილი, ხმაურობა, ტაში). კუზმინ-კარავაევმა როდიჩევს დაუჭირა მხარი.

ალექსინსკიმ წაიკითხა რიგის პროგრესიულ ამომრჩეველთაგან მიღებული დეპეშა, რომელიც მოსულ კერძო ცნობებს უფრო ეთანხმება, და განუცხადა, მე ამ ამომრჩევლებს უფრო ვენდობი, ვიდრე გენერალ-გუბერნატორსაო. არხანგელსკიმ მოითხოვა შეკითხვის დაუყოვნებლივ გარჩევა.

იზოლმა ყურადღება მიაქცია ბარონის მიერ გამოგზავნილ დეპეშაში სიტყვას „ჯერ-ჯერობითაო“. ეს იმასა ნიშნავს, რომ დღეს თუ არა, ხვალ შესაძლებელია პატიმარნი დაჰხვრიტონ და ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა გავარჩიოთ საქმეო.

შულგინმა განაცხადა: სიკვდილი განსაკუთრებით მემარცხენეებს სრულებით არ უნდა აშინებდეთ. აბა, სინიდისის ქვეშა სთქვით, არავის აქვს თქვენგანს ყუმბარაო.

ამ სიტყვებზე საშინელი ხმაურობა ასტყდა. მემარცხენეებმა ბრახუნი ასტეხეს, გაისმა ყვირილი: „გააგდეთ, გააგდეთ აქედანაო.“ დარბაზში საერთო მოძრაობაა. თავმჯდომარემ ზარის რეკას მოუხშირა, სხნოვა ყველას, დამშვიდებულიყო. მან მწუხარება გამოსთქვა, რომ ორატორი დროზე ვერ შეაჩერა. შულგინის საქციელი ულაგოდ მიაჩნია და სთქვა, მე-38 მუხლის ძალით, დეპუტატის სხდომიდან დასათხოვნად საჭიროა დეპუტატის რომელიმე ჯგუფის განცხადებაო.

ალექსინსკის აზრით მემარცხენეთა აღელვება მეტია, დროა მივეჩვიოთ პროვოკაციას და ზიზღით გავცეთ პასუხიო.

ჰერგამენტმა როდიჩევს დაუჭირა მხარი და აღნიშნა, რომ შეკითხვას არა თუ რიგიანი ფორმულა, კანონიერი არგუმენტიც არა აქვსო.

პურიშკევიჩმა კუზმინ-კარავაევის მიერ წაკითხული დეპეშა იმოწმა და აღნიშნა, რომ ს.-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვა უსაფუძვლოაო.

ბულგაკოვი და კაზევეტტერი დაუყონებლივ განხილვას წინაღუდგნენ. ბელიაევი დაუყონებლივ განხილვას მიემხრო.

წერეთელმა ს.-დემოკრ. ფრაქციის სახელით მოითხოვა, რომ თუ დღესვე არ გაისინჯება შეკითხვა, კომისიამ მისი წარდგენა ხუთშაბათს მაინც არ უნდა გადააცილოსო.

სათათბირომ დაუყონებლივ განხილვა უარ-ჰყო და საკითხი კომისიას გადასცა.

წაიკითხეს 35 წევრის განცხადება შულგინის დღევანდელ სხდომიდან დათხოვნის შესახებ. შულგინმა განაცხადა, რომ როცა „ყუმბარა“ ვთქვი, სახეში მყავდა სათათბიროს წევრები კი არა, საზოგადოდ ს.-რევოლიუციონერების პარტიის ყველა წევრიო. თავმჯდომარემ განცხადებას კენჭი უყარა. იოსებ გესენმა იკითხა: „შეიძლება განცხადება შემომტანთ უკანვე წაიღონო“. ამაზე მარცხნივ დაუძახეს „ეს ბოდიშის მოხდა არ არისო“. (მარჯვნივ ხმები: „ოჰო!“) შულგინის დათხოვნის წინააღმდეგნი აღმოჩნდნენ მემარჯვენენი, ზომიერები და კადეტთა ერთი ნაწილი, მაგრამ მემარცხენეთ გადაჰქარბეს და დეპუტატის დათხოვნა მიიღეს. შულგინი დარბაზიდან გავიდა. უკიდურესმა მემარჯვენეებმა და ზომიერმა მონარქისტებმა ეს იწყინეს, უკანონოდ სცნეს, რადგან შულგინმა თავისი სიტყვა უკანვე წაიღოო. ყველანი დემონსტრატიულად წამოდგნენ და შულგინს გაჰყვნენ (მარცხნივ ძლიერი ტაში, ცენტრში სიჩუმე).

სათათბირო გადავიდა მეორე შეკითხვაზე, რომლის გარჩევასაც მომხსენებელი დაუყოვნებლივ თხოულობდნენ. ეს შეკითხვა შეეხება ბაქოში, გაფიცვის საქმის გამო, გენერლის ტაუბეს გაგზავნას. გაფიცვა იქ მშვიდობიანად მიმდინარეობს და მთავრობა ტაუბეს გაგზავნით შრომასა და კაპიტალის საქმეში ერევაო.

ჩერნოსვიტოვმა, კაპუსტინმა, სტრუვემ და როდიჩევმა სთქვეს, რომ ეს საკითხი ძლიერ რთულია და ხელ და ხელ იმისი გარჩევა შეუძლებელია. შეკითხვაში არავითარი ხელ-ჩასაჭიდი მასალა არ მოიპოვება. მთავრობის მიერ აგენტის გაგზავნაშიაც არავითარი დანაშაული არ არის. ამიტომ შეკითხვა კომისიას უნდა გადაეცესო.

დაუყოვნებლივ საკითხის გარჩევას მხარი დაუჭირეს: მახარაძემ, ახრამოვიჩმა, ზეინალოვმა და ჯაფარიძემ.

ს. რევოლიუციონერები და შრომის ჯგუფი წინააღმდეგი იყვნენ დაუყოვნებლივ განხილვისა.

სათათბირომ ხმის უმეტესობით შეკითხვა კომისიას გადასცა.

შემდეგ სათათბირომ მოისმინა სახელდახელო შეკითხვა სოფ. ლანჩხუთში დამსჯელ რაზმის მოქმედების შესახებ. მოხსენების მსწრაფლ განხილვას მხარი დაუჭირა წერეთელმა, წინააღმდეგი იყო როდიჩევი.

წერეთელმა ილაპარაკა დამსჯელ რაზმის მოქმედების შესახებ.

როდიჩევი არსებითად მას დაეთანხმა, მაგრამ აღნიშნა, რომ შეკითხვა ფორმალურ მხარეს ვერ აკმაყოფილებს. არც ფორმალურ და არც არგუმენტის მხრივ შეკითხვას მტკიცე საფუძველი არა აქვს. შეკითხვის დაუყოვნებლივ განხილვის წინააღმდეგნი იყვნენ ოქტომბრისტები, უპარტიონი, კადეტები, მაჰმადიანები და კოლო, სულ 193 კაცი. მომხრენი—ს.-დემ., ს.-რევოლ., შრომის ჯგუფი და სახალხო სოციალისტები, სულ 166 კაცი. ეს შეკითხვაც კომისიას გადაეცა.

შემდეგ სათათბირო გადავიდა მესამე შეკითხვაზე. იგი შეეხება მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის გერშელმანის უკანონო მოქმედებას. გერშელმანი თურმე, წინააღმდეგ კანონისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სპეციალურ განმარტებისა, ძმ. კაბლოვები და ძმ. ტარაკანოვები, რომელთაც პოლიციელის მოკვლას აბრალებდნენ და რომელთაც საველე სასამართლომ უვადო კატორგა გადაუწყვიტა, ამას არ დასჯერდა და სხვა მსაჯულებს გაარჩევინა ხელ ახლა საქმე, რის შედეგიც ის იყო, რომ ბრალდებულები სიკვდილით დასაჯეს.

მაკლაკოვმა ილაპარაკა საქმის ფაქტიურ მხარეზე და განაცხადა, რომ სათათბირო ეგებება მინისტრთა თავმჯდომარის მოწოდებას და, აჰა, გამოაშკარავა კიდევაც მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის გერშელმანის უკანონო მოქმედება; სათათბირომ აღასრულა თავისი მოვალეობა, ეხლა მთავრობამ უნდა აასრულოს თავისი მოვალეობა იმ კანონისა და სამართალის პატივისცემის სახელით, რომელზედაც არა ერთხელ მოგვიწოდეს სამინისტროთა წარმომადგენლებმაო.

ალექსინსკი დაეთანხმა მაკლაკოვს, მაგრამ გერშელმანის მოქმედება უფლების აღმატებად არ ჩასთვალა. ასეთი მოქმედება რუსეთში დღეს არსებულ უფლებით სარგებლობააო. სათათბირომ ერთხმად მიიღო შეკითხვის რედაქცია, კომისიის მიერ შემუშავებული (ტაში).

თავმჯდომარემ სთქვა, რომ მივიღე 31 წევრისაგან ხელმოწერილი განცხადება, რომელნიც შულგინის დათხოვნის შესახებ პროტესტს აცხადებენო. რადგან პროტესტი სათათბიროს მოქმედების კრიტიკაა, სხდომის დავთარს მიეკერებაო.

5 საათსა და 50 წუთზე სხდომა დასრულდა.

იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც უადგილოდ დარჩენილთა საქმე აქვს ჩაბარებული, დაინიშნა ს.-რევოლიუციონერების ლიდერი გორბუნოვი, მდივნად ალექსინსკი.

ზომიერთა და მემარჯვენეთა შეერთებული კლუბი შეუდგა საარჩევნო კანონის გამოცვლის პროექტის შემუშავებას.

პიროვნების ხელ-შეუხებლობის კომისიამ მცირეოდენის ცვლილებით მიიღო მთავრობის კანონ-პროექტის სამი პირველი მუხლი.

(გაზეთებიდან)

**უცხოეთის კაპიტალისტები სათათბიროს შესახებ.** „რუს. სლ.“-ს დეპეშით აუწყებენ პარიზიდან, რომ უცხოეთის კაპიტალისტებს აოცებს მთავრობის განზრახვა, რომ სათათბირომ საბიუჯეტო კომისიაში საგნის მცოდნე გარეშე კაცები არ მოიწვიოს. ყველაზე უფრო იმიტომ უკვირთ უცხოეთის საფინანსო წრეებს რუსეთის მთავრობის ამგვარი მიმართულება, რომ ამას წინად თვით ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა საჯაროდ გამოაცხადა სათათბიროში, ბიუჯეტის გასარჩევად დიდი ცოდნა და გამოცდილება საჭიროა, ეხლა კი ამ მცოდნე და გამოცდილ პირების მოწვევას ეწინააღმდეგებაო.

**ს.-დ. ფრაქციის სხდომა.** 28 მარტის სხდომაზე ს.-დ. საპარლამენტო ფრაქციას დაუდგენია შეკითხვები წარუდგინოს სათათბიროს: 1) ბაქოში ჟანდარმთა კორპუსის უფროსის გაგზავნის შესახებ და 2) საპატიმროებში პოლიტიკურ ტუსაღთა აწიოკება-შეწუხების შესახებ. იმავე სხდომაზე არჩეულ იქმნა ფრაქციის კომიტეტი, 7 კაცისაგან შემდგარი. კომიტეტში აურჩევიათ წერეთელი, ჯაფარიძე, იზოლი, ბელოუსოვი, სალტიკოვი, კომარი და ანიკინი.

## ასტრახანის გუბერნიაში

—*—

ჩვენ ვიმყოფებით ქალაქ ენატაევსკში. ტელესკოპითაც რომ მოისურვოთ ძებნა, ამ ქალაქს რუსეთის კარტაზედ ვერ იპოვნით მიუხედავად ამისა აქაური ადმინისტრაცია ამ ქალაქს ასტრახნის გუბერნიის „სამოთხედა“ სთვლის. მდებარეობს იგი მდ. ვოლგას ნაპირზედ, ქალაქ ასტრახნიდან 120 ვერსის მანძილზედ, სამხრეთით უკვე კარგა ხანია, რაც ადმინისტრაცია ასახლებს აქ პოლიტიკურებს. მაგრამ ამ „ბედნიერთა“ რიცხვში აქნობამდის არ მოჰყოლიან ჩვენებურნი—კავკასიელნი. მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ დღემდის კავკასიელთათვის ადმინისტრაციას ჰქონდა უფრო „შესაფერისი“ ადგილები, ასტრახნის გუბერნიის „ჯოჯოხეთად“ წოდებულნი. წყალობითა ღვთისათა, შეწევნითა და ერთგულებითა ადმინისტრაციისა ეს „ჯოჯოხეთებიც“ აღივსო პირით-პირამდე და ეხლა იძულებულნი არიან, თვისდა უნებურად, უღალატონ თავიანთ გადაწყვეტილებას. ამ ბოლო კვირის განმავლობაში აქ უკე ათამდე ქართველმა მოიყარა თავი,

სულ აქ დაბინავებულია სამოცამდე გადმოსახლებული. მეტ წილს პოლონელები, ლატიშები და ებრაელნი შეადგენენ.

დაუჯერებელი მიყრუებული ცხოვრებნი არიან აქ. აქ ამ სამოთხედ წოდებულ ქალაქში არავითარი დაწესებულება არ ყოფილა, არავითარი საქმის შოვნა აქ არ შეიძლება, და ამიტომ უცხო ადამიანს, აქ გადმოსახლებულს, დიდი ტანჯვა მოელის. პირველშივე თქვენს ყურადღებას იქცევს დიდის ასოებით დახაზული კედელი: „Казенная винная лавка“, ესე იგი სახაზინო არყის დუქანი, რომლის გარშემო იშვიათია ხალხი ბუზივით არ ირეოდეს. მეტი მოძრაობაა, რასაკვირველია, კვირა-უქმე დღეებში. მარხვას მოწიწებით ინახავენ, მაგრამ, სამაგიეროდ, როდესაც გახსნილდება, წრეს გადადიან. ყველიერი აქ დიდის ამბით გაატარეს, სიმღერასა და ქეიფში მამაკაცებს არც თუ დედაკაცები ჩამოვარდებიან, და როდესაც ეს უკანასკნელნი „როლში“ შედიან, მაყურებელს უეჭველად მოაგონდება „ტარტაროზთა ფერხული“. ასე ატარებს დროს აქაური მდაბიო ხალხი.

ამისთანა მხარეში გაფანტვა პოლიტიკურად მომზადებულ ხალხისა ძლიერ სა-

---

# ფელეტონი

## სოციალ-დემოკრატების გამარჯვება საქართველოში

(შენიშვნები)

(დასასრული *)

შემდეგ ავტორი სცდილობს ახსნას, თუ რატომ უყურებდა ეროვნულ იდეას ჩვენი გლეხი გულ-გრილად და მტრულადაც კი, და ამბობს: **„ეროვნულ მისწრაფებებს ასაზრდოებს და ავითარებს ეროვნული ჩაგვრა და ჩვენი გლეხი კი ეროვნულ ჩაგვრას პირდაპირ ვერა ჰგრძნობდა“.**

შემცდარ აზრად მიმაჩნია, ვითომ ეროვნულ მისწრაფებებს მარტო ეროვნული ჩაგვრა ავითარებდეს: ინგლისელებს ვილჰელმ დამპყრობელის შემდეგ (დაიპყრო ინგლისი 1066 წელს ქრ. შემ.) ეროვნული ჩაგვრა არ გამოუცდიათ, მაგრამ ეროვნული გრძნობა უმაღლესად განვითარებული აქვთ. იგივე ითქმის ევროპის სხვ. ხალხებზედაც, ფრანგებზე, გერმანელებზე და სხვებზე. პოლონელებს 1832 წლამდის, როცა შედარებით უფრო მეტი ეროვნული თავისუფლება ჰქონდათ, ვიდრე მასუკან, არა ნაკლებ ჰქონდათ განვითარებული ეროვნული გრძნობა და მისწრაფებანი, ვიდრე დღეს.

მაგრამ ვთქვათ ავტორი ჭეშმარიტებას ამბობს და ეროვნულ მისწრაფებებს ასაზრდოებს და ავითარებს მხოლოდ ეროვნული ჩაგვრა, ჰგრძნობს თუ არა ჩვენი ქართველი გლეხი ეროვნულ ჩაგვრას?

არაო, ამბობს ავტორი.

მე ვამბობ, რომ თუ ჩვენი გლეხი პირუტყვი არ არის, ტვინი აქვს და მსჯელობა შეუძლიან, ასეთს ჩაგვრას უნდა ჰგრძნობდეს და ჰგრძნობს კიდეც, ხოლო ფორმულებით გამოთქმა არ შეუძლიან თავის გრძნობისა, თავის ეროვნულ მისწრაფებებისა.

როცა მამასახლისი გადასახადებს ჰკრებს და საწყალ გლეხს უკანასკნელ ძროხას უყიდის „ნედოიმკაში“, იგი მამასახლისს არ ემდურის: იცის, რომ მას მაზრის უფროსი უბრძანებს და ამ უკანასკნელს კი უმაღლესი მთავრობა **„რუსის მთავრობა“**.

სოფლის საქმეები ხომ მაინც გლეხებმა კარგად იციან, მაგრამ სოფლის კანცელარიაშიაც კი უმნიშვნელოა მისი პიროვნება: აქ საქმის წარმოება რუსულად არის და სოფლის ბატონ-პატრონიც ის არის, ვინც ორიოდე რუსული იცის. და გლეხი ფიქრობს: „ამ ჩვენი სოფლის საქმეებში რაღა უნდა, რისთვის ეჩრება **რუსის მთავრობა**?

გლეხი მიდის სასამართლოში, მისი სიტყვა იქ არავის ესმის, არც მას ესმის მოსამართლის სიტყვა და ჰგრძნობს, რომ მისი ბედ-იღბალი ვიღაც უვიცს თარჯიმნის ან ქუჩის აბლაკატის ხელშია და გულში იმეორებს: „ღმერთმა კი შეარცხვინოს ისეთი სამართალი, როგორიც არის **რუსის სამართალი**“.

შვილები ისეთივე უსწავლელი რჩება გლეხს, როგორც თითონ არის, რადგან სკოლები არ არის, და თუ სადმე არის, იქაც ბავშვები ვერაფერს სწავლობენ და ტყუილა სცდებიან, გლეხი ამაშიაც ბრალს სდებს **რუსის მთავრობას.**

შვილს ართმევენ, სალდათად მიჰყავთ და ცივ ქვეყნებში ჰგზავნიან, საიდანაც დასნეულებული ბრუნდება ან არა და იქ სტოვებს თავის ძვლებს. ამ შემთხვევაშიაც გლეხი სწყევლის **რუსის მთავრობას.**

გლეხის პიროვნება ხელუხლებელი არ არის, პოლიციაა თუ სხვა მთავრობის მოხელე, აყენებს მას ყოველ გვარ შეურაცხყოფასო, ამცირებს მას და ტალახით სთელავს იმის თავმოყვარეობას. თუ სიტყვა შეუბრუნა, ჯერ მათრახები მოჰხვდება და მერე სატუსაღო, არა—პირუტყვი გლეხი ჰგრძნობს ასეთ გაჭირვებას და გულ ჩახვეული წყევლა-კრულვას უგზავნის **რუსის მთავრობას**.

გლეხი კარგად ჰხედავს, რომ არც სკოლა, არც სასამართლო, არც ადმინისტრაცია არ ვარგა, არაფერი კეთდება და გადასახადები კი მიაქვთ და მიაქვთ. იგი ხედავს, რომ მისი ბრძანებელი, მისი ბატონი არის **რუსის მთავრობა,** რომელიც არის სადღაც ცხრა მთას იქით, იქიდან გზავნის კანონებს და ბძანებებს, რომლითაც მას, გლეხებს, ტყავს აძრობენ! არ შეიძლება გლეხი, თუ თითონ ვერ მიმხვდარა, როცა ეტყვიან, ვერ მიხვდეს, რომ კარგი იქნება მის სოფელსაც დაეკითხებოდნენ, როცა საქვეყნო საქმეებია ხოლმე მოსაწყობი, საქვეყნო საკითხებია გადასაწყვეტი!

ზევითაც ვსთქვი და აქაც ვიმეორებ, რომ ქართველ გლეხს ეროვნული გრძნობა ჰქონდა და აქვს, მხოლოდ მისი ეროვნული მისწრაფებანი ფორმულებად არ არის ჩამოსხმული და, სხვათა შორის, ამიტომ იყო და არის საჭირო მის ეროვნულ გრძნობას სასურველი მიმართულება და გამოხატულება მიეცეს, რათა ამ გზით ავცდეთ ჩვენი ხალხის მიერ ეროვნულ გრძნობის უფრო ტლანქად და უფრო რეაქციონურად გამომჟღავნებას!

**„ფედერალისტი,—ამბობს ავტორი, —მიდის გლეხთან და ეუბნება: შენ შიშველი და მშიერი ხარ. შენ გძარცვავენ. ამის წინააღმდეგ უნდა იბრძოლო. მაგრამ უწინარეს ყოვლისა შენ საქვეყნოდ უნდა იყვირო, რომ შენ ხარ ქართველი, რათა ყველამ გალიაროს ქართველად.“**

ამის შემდეგ ავტორის სიტყვით გლეხი იწყებს მსჯელობას და ვერ გაუგია: **რა მოსატანია აქ ქართველი? ყველამ იცის, რომ ის ქართველია და ამ წამში არავინ უშლის მას ქართველად ყოფნას.**

ეს მსჯელობა უფრო ავტორის მსჯელობაა, ვიდრე ქართველი გლეხისა. ქართველი გლეხი ძალიან კარგად ჰგრძნობს, რომ იმას ჩაგრავს ყველა და ყოველნაირად და იცის, რომ მისი ბედი, რომ მის ხელში იყოს, მისთვის უკეთესი იქნებოდა. ქართველი გლეხი გაცილებით უფრო შორს მიდის ქართველ ინტელლიგენტზე და **რუსის მთავრობის** დანაშაულობა იმის წინაშე უფრო ადვილად გადააქვს თვით რუსის ხალხზე და შევიწრებულ ელემენტების მოვალეობას შეადგენს, რაც შეიძლება უფრო ადრე აუხსნას ხალხს და შეაგნებინოს ნამდვილი ეროვნული იდეალი, რომელიც ორი სიტყვით გამოიხატება: „არც ჩვენ ვემონოთ, არც სხვა ვიმონოთ.“

ამას გარდა, არასოდეს ს.-ფედერალისტებს თავისი პოლიტიკური პროგრამმა იმ ფორმულამდე არ გაუმარტივებიათ, რომელიც ავტორს მოჰყავს: „საქვეყნოდ იყვირე, რომ შენ ქართველი ხარ, რათა ყველამ გალიაროს ქართველად!“

როცა კი ს.-ფედერალისტებს შემთხვევა ეძლეოდათ გლეხებთან ლაპარაკისა, ისინი იმას კი არ ეუბნებოდნენ იყვირე, რომ ქართველი ხარო, არამედ დაწვრილებით უხსნიდნენ ცენტრალიზმის თვისებებს და ცენტრალიზაციის უპირატესობას, უმარტავდნენ ავტონომიისა ფედერალიზმის პრინციპებს, უქადაგებდნენ როგორც კერძო ადამიანთა, ისე ხალხთა თავისუფლებას და ხალხთა შორის თანასწორობას და ერთობას, და არასოდეს ქართველი გლეხი ამ საკითხებს არც მტრულად, არც გულ-გრილად არ მოჰპყრობია, ჩაჰკვირვებია და შეუგნია მათი არსი.

**„ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც ს.-ფედერალისტები აქცევენ ეროვნულ საკითხს თავის პრაქტიკულ მოქმედებაში ადვილი გასაგებია როგორც ფსიხოლოგიური მოვლენა, მაგრამ არ შეიძლება გამართლებულ იქმნას, თუ მას რევოლიუციონურ პარტიის თვალით შევხედეთო“,**—განაგრძობს ავტორი.

ჩვენ გვგონია, რომ თუ რევოლიუციის მასაზრდოებელი მარტო ლუკმა პურის ძებნაა, ასეთი რევოლიუცია დიდ მანძილს ვერ გაივლის, როცა სალდათებს შეუჩნდნენ და აღელვებდნენ მით, რომ ცუდ საჭმელ-სასმელზე უჯავრებდნენ, სალდათები თითქო რევოლიუციას ემხრობოდნენ, ხოლო როცა საჭმელიც გაუუმჯობესეს და სასმელიც, მაშინ თავიანთი თოფები რევოლიუციონერებს მიუღირეს! მხოლოდ თავისუფლების იდეალი აღაფრთოვანებს ხალხს, აბრძოლებს მას თავგანწირულად და აპოვნინებს მას პურსაცა და თავისუფლებასაც!

თავისუფლებას უქადაგებდნენ ხალხს ს.-ფედერალისტები, მაგრამ არასოდეს მათ ხალხისათვის არ ურჩევიათ რუსეთის

*) იხ. „ისარი“ № 73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლოა. ამ ახალ ელემენტებს ახალ მხარეში შეაქვს ახალი ცხოვრება. ამ ჩემის წინასწარმეტყველების ნიშნები უკვე ჩანს.

დიდი ხანი არ არის, რაც პოლიტიკურებს ისე უცქეროდნენ, როგორც მგელი ბატკანს. თანდათან რწმუნდებიან, რომ ამ უსაფუძვლო შიშს ფარდა აეხადა და ძველებურად პირველ დანახვისათანავე აღარ ფრთხებიან, არ იმალებიან, პირიქით სცდილობენ დაახლოვებას. ამ მხრივ, რასაკვირველია, როგორც ყოველთვის, ახალგაზრდობამ გაუსწრო ხანში შესულთ. ამ უკანასკნელთ „ნეიტრალიტეტი“ არჩიეს. ექვს გარეშეა, მალე შეირყევა ამ „ნეიტრალიტეტის“ ნიადაგიც.

რამოდენისამე კაცის მეცადინეობით აქ უკვე არსებობს დამხმარებელი დაწესებულება, სადაც გროვდება შემოწირულებანი, მოდის სატახტო ქალაქიდან და რუსეთის სხვა ადგილებიდან დრო გამოშვებით გამოცემანი, რომლითაც სარგებლობენ მსურველნი. სამწუხაროდ ძლიერ ღარიბია იგი წიგნებ-გაზეთებით:

ყველიერში აქაურმა ახალგაზრდობამ ერთი წარმოდგენის გამართვა გაბედა. ვისაც ჰსურს იქონიოს წარმოდგენა აქაურს თეატრზე, ვსთხოვ შეადაროს იგი სახალხო აუდიტორიას ავჭალის ქუჩაზედ, თბილისში. არქიტექტურა, სცენისა და პარტერის მოწყობილება—ერთი და იგივეა, მხოლოდ სივრცითა და შენობის ღირსებით უკანასკნელი სჯობნის პირველს. ამ წარმოდგენას დაესწრო თვით „მათი აღმატებულება“ ენატაევსკის ისპრავნიკი თავის ყველა ხარისხოვან თანამოხელით; იყო აგრეთვე ენატაევსკის „მაღალი საზოგადოება“. ბოლო რიგებში მოჰყვნენ... პოლიტიკურებიც.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ისპრავნიკი, რომელსაც მეტსახელად „აქლემს“ უწოდებენ, თავის გარეგანის შეხედულებით ძალიან წააგავს უდაბნოების ამ ცხოველს... აქლემს. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ერთი პოლიტიკურიც. პიესა მეტის-მეტად მოწყენით მიმდინარეობდა გამოუცდელი სცენის მოყვარეების წყალობით. უცბად მთელი თეატრი სიცილად გადაიქცა და ყველა „ისპრავნიკისაკენ“ იყურებოდა. ეს შეუკავებელი სიცილი გამოიწვია ჩვენი ამხანაგის ფრაზამ, რომელმაც თავის მონოლოგში ადმინისტრაციის მოხელეს (პიესაში მომქმედ პირს). ავტორის წინააღმდეგ „აქლემი“ უწოდა. ამ მოხერხებულმა შედარებამ გამოიწვია ისეთი სიცილი, რომ „მის“ გვერდით მყოფ თავხედ ხელქვეითებსაც-კი ჩუმი სიცილი აუტყდათ.

მოქმედება გათავდა. ანტრაქტის დროს ისპრავნიკი... გაპარულიყო. მეორე დღეს გავიგეთ ახალი ბძანება, რომლის ძალითაც პოლიტიკურებს აეკრძალათ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება.

ამ ინციდენტზედ კიდევ უფრო სასაცილო ეს განკარგულებაა. მეორე წარმოდგენა, უექველია გაიმართება მეორე ყველიერში, ე. ი. 1908 წელს, მ ნამდვილი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ბედის ჩარხი წაღმა დატრიალდება და ბევრი ამისი მსგავსი განკარგულება გამშრალ ასოებად-ღა დარჩება.

**ნიკ. გ. ჯაფარიძე.**

# ახალი ამბავი

✦ **პედაგოგიური კრებული.** ქართველ მასწავლებელთა წრემ გადასწყვიტა გამოსცეს ქართულად პედაგოგიური კრებული ამ შინაარსით: 1. სწავლა-განათლების დღევანდელი მდგ მარეობა საქართველოში; 2. პედაგოგიური წერილები სხვა და სხვა საკითხის შესახებ; 3. პოპულიარული წერილები მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან; 4. წერილები სხვა და სხვა ქვეყანაში არსებულ მასწავლებელთა კავშირების და საზოგადოების შესახებ და 5. წერილები პროვინციიდან.

✦ **დამშეულთა დახმარება.** 3 აპრილს, სამეურნეო საზოგადოების ვიცე პრეზიდენტის თავ. პ. გრუზინსკის თავმჯდომარეობით მოხდა საზოგადოების საბჭოს სხდომა. საბჭომ განიხილა საქმე კავკასიაში დამშეულთა დახმარების შესახებ. თათბირის შემდეგ საბჭომ დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა ნამესტნიკის წინაშე, ნება დაერთოს საბჭოს გამართოს ხელის მოწერა. საბჭომ დაადგინა აგრეთვე, დაარსოს განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც დაევალება როგორც ფულის მოგროვება, ისე დახმარების საქმის მოწყობა. ამავე სხდომაზედ საბჭომ განიხილა ა. ფირალოვის წინადადება მასალის მოპოვებისა და აგრარულ საკითხის განხილვის საჭიროების შესახებ. საბჭომ აირჩია კომისია და ეს საქმე იმას დაავალა. კომისიის წევრებად აირჩიეს აგრონომი ტიმოფეევი, თ. ა. მ. არგუთინსკი, ა. ფირალოვი, ა. კალანთარი, ე. ო. იოსელიანი, ა. საკოვი და სოკოლოვი.“

✦ **ხელის მოწერა დამშეულთათვის.** 3 აპრილს კავკასიის სამკურნალო საზოგადოება თავის კრებაზე შეეხო შიმშილობას, რომელიც უკვე მძვინვარებს ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ადგილებში. კრებამ დაადგინა, გამართოს ხელის მოწერა დამშეულთა დამხმარებელ ფანდის შესადგენად და აგრეთვე შეადგინონ ექიმთა და ფერშალთა დასები დამშეულ ადგილებში მცხოვრებთათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

✦ **სემინარიის პარალელური განყოფილებანი** როგორც ვიცით, მარტის ბოლო რიცხვებში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების რწმუნებულთ ქუთაისში კრება ჰქონდათ. კრებამ იქონია მსჯელობა იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების შვილთათვის ტფ. სემინარიაში პარალელური განყოფილებანი გაიხსნას, რადგან სამღვდელობას შესანახად საკუთარი სახსარი არ მოეპოვება, ამის გამო კრების დადგენილებით უნდა აღიძრას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ის თანხა, რომელსაც სინოდი უწინ იძლეოდა ქუთაისის სემინარიის შესანახად და დღესაც იძლევა, თუმცა ეს სემინარია 1903 წლიდან უკვე დახურულია, ტფილისის სემინარიაში განზრახულს პარალელურ განყოფილებებს მოხმარდეს. თურმე სინოდს სხვა განძრახვა ჰქონია. ვოსტორგოვის აზრის თანახმად ხსენებული ფული ქალ. ტფილისში რუს ბერძენ-ოსთა განძრახულ სემინარიას უნდა მოხმარდეს, ხოლო ქართველ მოწაფეთათვის სამღვდელოებას უნდა გადაეცეს ძველი სემინარიის შენობა, რომელშიაც უნდა გაიმართოს ქართული სასწავლებელი. იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი ექსარხოსის წინაშე შუამდგომლობს,—რომ იმერთა სამღვდელოების გადაწყვეტილება დაკმაყოფილებულ იქმნას.

✦ **ბოქაულის გამართლება.** შარშან, როგორც ვწერდით, სათათბიროს ერთის დეპუტატის შეკითხვის შემდეგ, პასუხის გებაში მისცეს გორის მაზრის სოფელ ხიდის-თავის ბოქაული კარალჩუკი. ჰბრალდებოდა ქრივიშვილის დაპატიმრება და ცემა. ეს საქმე ტფ. სამოსამართლო პალატამ განიხილა 3 აპრილს და კარალჩუკი გაამართლა.

✦ **ქალაქის ადგილის მითვისება.** ავლაბრის მცხოვრებთა რწმუნებულნი ამ ცოტა ხანში განცხადებას წარუდგენენ ტფ. ქალაქის გამგეობას ამ ორი წლის წინად გამგეობის წევრად ნამყოფის, ხოლო ეხლა ხმოსნის ინჟინერის ტ. ა. ენფიანჯიანცის მიერ ქალაქის ადგილის მითვისების შესახებ. ადგილი ჩითახოვის გოგირდის აბანოებთან არის, შეიცავს 1500 საჟენს და ღირს 25,000 მანეთამდე.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის გაძარცვა.** 3 აპრილს ღამე კარაკლისში გაუძარცავთ ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა. წაუღიათ 18 ათას მანეთამდე. მორიგე ფოსტალიონი აკოფ კარაპეტოვი უკვალოდ დაკარგულა.

✦ **ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებანი.** იგზავნებიან: ვოლოგდის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე—რაჟდენ დოლიძე, ერმალოზ კუპურიძე, მიხეილ კაჩარავა, ლუკა პატარაძე, ვასილ ურუმბეგოვი, ი. ბონდაროვი, ალექსი ნატროშვილი, ე. ვოლკოვი და მოსე არეშიძე, რომელთაც ჰბრალდებათ აგიტაცია მუშებს შორის; ვიატკის გუბერნიაში ორი წლით—ივანე მათიაშვილი, რომელსაც რევოლვერი აღმოაჩნდა. უფილისსა და ტფილისის გუბერნიიდან ეტაპით იგზავნებიან: პ ლოკანდა, ე. გოცირიძე, ა. ჯაფარიძე, დ. ლაფერაძე, დ. ასლოსიანცი, მ კასპაროვი, ქ. ჯაფარიძე, ა. ოსიფოვი, ერ. სირბილაძე, ე. კვერეხიშვილი, მ. ტერიაშვილი, ა. ბალდასაროვი, მ. პეტროსიანცი, ა. ჯავაკიანცი, მ. კერესელიძე, გ. შიშნიაშვილი, მ. ქევხიშვილი, გ. ლუარსაბოვი, ნ. მაილოვი, ს. ოვანესოვი, მ. თუმანიანცი, ი. გუბეზაშვილი, კ. ბაზინოვი, მ. ჩეჩენიაშვილი, ი. მინასაშვილი, გ. კარაპეტიანცი, ო. ოგანოვი, ა. ასატურიანცი, გ. გალუსტოვი, ვ. ზუტიკოვი, ი პეტრიაშვილი, შ. ბადალიანცი, ე. სულაძე და ს. სარქისოვი.

✦ **თავდასხმა.** კვირას, 1 აპრილს, საღამოთი პოლიციის მე-10 ნაწილში მცხოვრებს სავაჭრო სამეურნეო პოლიციის ზედამხედველს გ. გულისაშვილს და იმის ძმას იერემიას შეუვარდა რამდენიმე შეიარაღებული კაცი, რომელთაც რევოლვერები მოუღერეს და ფული მოსთხოვეს. გ. გულისაშვილისათვის წაურთმევიათ ქალაქის ფული 90 მ ნ. და ნივთები. წასვლის დროს უთქვამთ, 20 აპრილს მოვალთ და 100 მან. ჩაგვაბარეთო.

✦ **არტელი.** ამ დღეებში ტფილისში დაარსდა არტელი. არტელში 100 კაცია. ხელ შეკრულება ნოტარიუსთან არტელმა 3 აპრილს დასდო. თითო წევრმა ერთ ხანად გადაიხადა 30 მან. და ამრიგად შესდგა საწარმოვო თანხა 3000 მან. არტელს აზრადა აქვს სამუშაოს გაჩენა წევრთათვის.

✦ **განთავისუფლება.** 3 აპრილს გაანთავისუფლეს ამას წინად დაპატიმრებული, სინათლის რედაქტორი ვარაზიანცი.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი **ზაქარია ჭიჭინაძისა „საქართველოს გაერთიანების აზრი მე-18 საუკუნეში.“ წერილი გადმობეჭდილია 1093 წლის მოგზაურიდან.** ფასი ორი შაური.

✦ **გუშინ ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს წარუდგინა მეორე სარჩევნო უბნის შესწორებული სია დასამტკიცებლად.**

✦ არტემ კუზანოვი გვთხოვს დავბეჭდოთ: „ამ რამდენისამე დღის წინად თქვენ გაზეთში (№ 64) მოთავსებული იყო წერილი შესახებ ჩემი და ჩემის ღვინით სავაჭროში მომუშავებისა. ბრალსა მდებდნენ და ბოიკოტი გამომიცხადეს. მიზეზი ის იყო, რომ მე ამხანაგი შემოვიყვანე ჩემს სავაჭროში და მაზედ ამიხირდნენ, ამხანაგი რად შემოიყვანეო. მე მგონია, რომ პირველი და უკანასკნელი მე არ უნდა ვიყო, ამხანაგები თითქმის ყველა მოვაჭრეს ყავს. მე თუ ამხანაგი შემოვიყვანე, მითი მომუშავეებს არა დაჰკლებიათრა, თავიანთი ადგილი ყველასათვის მზად იყო, მაგრამ მაინც მუშაობას თავი დაანებეს. უცადე ათ დღეს და ვთხოვე ხალხთან და ხალხის პირით, რომ მუშაობას შეუდექით მეთქი, მაგრამ მათ მედიატორეები აირჩიეს და დაინიშნეთ დღე სამედიატორო სამართლისა. ჩემი მედიატორეები დანიშნულს ვადაზედ გამოცხადდნენ და ბევრიც იცადეს, მაგრამ მათი მედიატორეები არ გამოცხადდნენ. მაშინ მე ეჭვი შემეპარა და გამოუცხადე ჩემს მომუშავეებს, რომ სხვა მუშებს ვამუშავებ მეთქი. თითონაც მითხრეს, ვინც გინდა, ის ამუშავეო. მეც მივმართე სხვა მუშებს და დავაყენე საქმეზე. მე მგონია, რომ ეს დანაშაულობა არ უნდა იყოს. ყოფილ მუშებს დაუვლიათ და მუშტრების დაფრთხობა მოუნდომებიათ. მე უსამართლოდ მიმაჩნია მათი ბოიკოტი, რომელსაც სრულიად არ ვღებულობ. და გარდა ამისა კიდევ მზათა ვარ და ყოველთვის გამოვალ სამედიატორო სამართალში; მანამდის კი საბოიკოტო არა მაქვს რა და არც ვყაბულდები მათ ბოიკოტს, რომელიც თვით ვაჭრების ბიურომ უკანონოდ იცნო. არტემა კუზანოვი.

✦ მეცხრე ნაწილში მცხოვრებელმა დვალიშვილმა ამ რამდენიმე დღის წინად თავის დედას 5 მან. სთხოვა, დედამ უარი უთხრა. ამაზე გაჯავრებულ დვალიშვილს დედისათვის ბებუთი შემოუქნევია და ისე მძიმედ დაუჭრია, რომ დედა რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაცვლილა. დვალიშვილისთვის სინიდის იმდენად შეუწუხებია, რომ თავი სასიკვდილოდ გაუმეტებია: დვალიშვილი 3 აპრილს ავლაბარში რკინის გზაზე ასულა და თავი გადაუდვია ლიანდაგზე იმ დროს, როდესაც მატარებელი მიდიოდა თურმე. თავ მოჭრილი დასახიჩრებული გვამი დვალიშვილისა მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს.

✦ 10 აპრილს ტფ. ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის კუკიისა და ავლაბრის სათიბი მიწების იჯარით გასაცემად.

✦ 2 აპრილს ავლაბარში თავს დაესხნენ ქალაქის ადგილების დარაჯს. წაართვეს რევოლვერი და ხერდანა.

# ქუთაისის ქრონიკა

✦ ერთ კვირაზე მეტია, რაც ქუთაისის ქუჩებში აფიცრების ხელ მძღვანელობით გაძლიერებული პატრულები დადიან და ხალხს სჩხრეკავენ. როგორც ამბობენ, საალყო წესის მოხსნის მოლოდინში გაძლიერებული პატრულები დაწესდა და იგი დარჩება საალყო წესების მოხსნის შემდეგაც.

✦ ქუთაისში მძინვარებს ბავშვების გადამდები ავადმყოფობანი: წითელა, ქუნთრუშა, ყივანახველა და სხ. სენი გავრცელების ხელის შესაშლელად სასწავლებლებს სააღდგომოდ მომავალ კვირიდან დაითხოვენ.

✦ ქალაქის გამგეობის თხოვნა, რომ მეფანრეებს ნება მისცემოდათ ღამ-ღამეობით სიარულისა ფანრების ასანთებად და გასაქრობად, გუბერნატორს არ შეუწყნარებია იმ მოსაზრებით, რომ მეფანრეებმა ფანრები დაღამებამდის უნდა აანთონ და გათენებისას გააქრონ, ღამე სიარული მათთვის საჭირო არ არისო. საქმე ის არის, რომ ხშირად მთვარიან ღამეებში ფანრები საჭირო არ არის, რადგან მთვარე უკეთ ანათებს ფანრებზე, ხოლო გუბერნატორის განკარგულების გამო, ფანრები მთელ ღამეს უნდა ენთოს, რაც ქალაქს ზედ-მეტ ხარჯს მისცემს.

✦ 1 აპრილს ხმოსან იურისტებს უნდა განეხილათ მ. ლოლიძესთან დასადები ხელ-შეკრულობის პროექტი, რომელიც გადაცემული ჰქონდა ფოთის ქალაქის ინჟინერს სატეხნიკო განხილვისათვის. კრებას ფოთის ინჟინერი ვერ დაესწრო და ამიტომ ხელ-შეკრულების განხილვა სხვა დროსთვის გადაიდო.

✦ სტიპენდიების დარიგების მოლოდინში, დეპუტატის საკრებულოს მრავალი თხოვნა მისდის. აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ იმ მეგრელ თავად-აზნაურთა შვილებს, რომელნიც არ არიან დამტკიცებულნი თავად-აზნაურობის ღირსებაში, სტიპენდია არ მიეცეთ, რადგან სტიპენდიების დებულებაში ნათქვამია, რომ სტიპენდია მიეცემათ მთავრობისაგან დამტკიცებულ თავად-აზნაურთა შვილებს. ძნელი წარმოსადგენი არ არის ის უკმაყოფილება, რომელსაც ეს გარემოება გამოიწვევს მეგრელთა შორის, თუ დებულება არ შეიცვალა და მეგრელთ ც იგივე უფლება არ მიეცათ სტიპენდიების მიღებაში, რაც სხვასა აქვს.

# პროვინციის ცხოვრება

**ფოთი**, თუ ამდენ ხანს სხვა ქალაქებიდან და კუთხეებიდან გვესმოდა შანტაჟისტობა და პარტიების სახელით თავს დასხმა, ეხლა ეს ბედნიერება ჩვენს ქალაქსაც მოევლინა. ამას წინად საქალაქო სკოლის ინსპექტორს ძალით წაართვეს 25 მანეთი. რამდენისამე დღის შემდეგ ერთი უდანაშაულო ადამიანი კიდევ იმსხვერპლეს, ხოლო ამ 30 მარტს, საღამოს ათ საათზე, სამი კაცი შეუვარდა სახლში ექიმ მ. ხხენკელს იმ დროს, როცა ბ. ხხენკელი ავადმყოფთან წაიყვანეს და სახლში მარტო ქალები იყვნენ. ვერ წარმოიდგენს ადამიანი, რა მდგომარეობაში ჩავარდნენ, როდესაც ორი მათგანი რევოლვერებით ხელში თავზე დაადგნენ და ფული მოსთხოვეს. შეშინებულმა ქალებმა უთხრეს, რომ ექიმი სახლში არ არისო. მაგრამ გინდაც ექიმი შინ ყოფილიყო, ვერაფერს მისცემდა, რადგან თითონ არა გააჩნია რა. ხხენკელი ღარიბ-ღატაკების მეწე-დამხმარებელია და გასაკვირია ის კაცი, რომელიც მას თავს დაესხმება.

**მეხი.**

**ახალ-სენაკი.** ამას წინად გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ ს. ბანძაში დაიჭირეს განთქმული ყაჩაღი სხულუხია, რომელმაც როცა შეატყო, რომ გარს შემორტყმიან სტრაჟნიკ-ყაზახები, იარაღი თავის ბინიდან გადმოუყარა და დამორჩილდა, მაგრამ, როცა სახლს დაუახლოვდა ჯარი, სროლა აუტეხა და სამი კაცი მსუბუქად დასჭრა. ბოლოს თითონაც დაიჭირეს და სენაკის ციხეში დაამწყვდიეს. 27 მარტს, როცა ჩვენება უნდა ჩამოერთმიათ სხულუხიასთვის, იგი ციხეში არ აღმოჩნდა. როგორ მოახერხა გაქცევა,

---

ხალხებისაგან გამოცალკევება. ეს ს.-დემოკრატების მიერ გავრცელებული ქორია და გ—ვს არ უნდა მოეყვანა არგუმენტად. პირ-იქით ს.-ფედერალისტები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ იმ აზრს, რომ რუსეთის ხალხებთან ერთად უნდა ვიყვეთ ჭირსა და ლხინში, დღესაც და მომავალშიაც! მაგრამ ერთად ყოფნაც არის და ერთად ყოფნაც! ს.-ფედერალისტები ყოველთვის ხალხს იმას ეუბნებოდნენ, რომ **ყველა ადამიანი და ყველა ერი უნდა იყვეს თავისუფალი, თანასწორი და თანხმობით შეკავშირებული!** ყოველი ბროშიურა სოც.-ფედერალისტებისა, ყოველი მათი პროკლამაცია, ყოველი სააგიტაციო სიტყვა, მიტინგებზე წარმოთქმული, და ყოველი ბაასი გლეხებთან იწყებოდა და თავდებოდა ამ სიტყვებით: **„თავისუფლება! თანასწორობა! ერთობა!“** და იგივე ცნობები შეადგენდნენ მათ შინაარსს!

ავტორი განაგრძობს: **„სანამ ისეთი პოლიტიკური წეს-წყობილება არ დამყარდება, რომელიც მოგვცემს შესაფერ გარანტიებს, ეროვნულ მისწრაფებათა სფერაში რისიმე შეძენა ოცნებაა, რადგან, რაც დღეს მოგვეცა, შეიძლება ხვალ წაგვერთვას!“**

ავტორს ავიწყდება, რომ იგივე ითქმის და ისეთისავე სიმართლით აგრეთვე შესახებ სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლებისა, კრებებისა, კავშირების, გაფიცვების თავისუფლებისა და სხვა და სხვა. შეიძლება ყველა ესეც წაგვართვას ხვალ, ამიტომ დღეს არ უნდა მოვითხოვოთ?

ამას გარდა, ავტორი სრულებით უსაფუძვლოდ სწამებს, თითქო ს.-ფედერალისტები პოლიტიკურ პროგრამმის განხორციელებას აწ არსებულ აბსოლიუტიზმისაგან მოელოდნენ! არა, „ს.-ფე**დერალისტები მთელს თავიანთ იმედებს ამყარებდნენ რევოლიუციაზე და დამფუძნებელ კრებაზე, რომელთაც ისინი ჰქადაგებდნენ მთელის თავიანთ ძალ-ღონით!**

დასასრულ, უნდა ვთქვა, რომ სწორედ ავტონომია იქნება ერთ-ერთი სერიოზული გარანტია, რომლის საშუალებითაც განაპირა ქვეყნები დაიცავენ მოპოვებულ სამოქალაქო უფლებებს პურიშკევიჩების და სუვორინების მომავალ პარლამენტის ძალ-მომრეობისაგან.

რომ უიმისოდაც გაჭიანურებული წერილი კიდევ უფრო არ გაჭიანურდეს, აღარ შევეხები წერილის სხვა შემცდარ აზრებს და დასასრულ, მოვიყვან კიდევ მხოლოდ ერთ ადგილს, რომლისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ ავტორისა, რადგან მან ამითი სავსებით დაამოწმა ჩემ მიერ ზემოდ-გამოთქმული აზრი.

**„ნუ დაივიწყებთო,**—ამბობს ავტორი,—**რომ ფინლიანდიის მიერ ზოგიერთ ეროვნულ უფლებათა დაპყრობამ შეასუსტა რევოლიუციონური განწყობილება ამ განაპირა ქვეყნისა“,** ე. ი. სხვანაირად რომ ვსთქვათ, გამოდის, რომ როცა ფინლიანდიელები ეკონომიურ ინტერესების გარდა იბრძოდნენ აგრეთვე ეროვნულ თავისუფლებისათვისაც, მაშინ რევოლიუციონური მათი განწყობილება ძლიერი და ენერგიული იყო, ხოლო როცა მარტო ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიდგა საქმე, მაშინ რევოლიუციონური განწყობილებაც განელდა.

დღეს სოც.-დემოკრატების არ ხედავს ყველას დაუბნელა მხედველობა, მაგრამ იქნებ მომავალ თაობისთვის მაინც ნათელი გახდეს ის ჭეშმარიტება, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი მეტის გატაცებით, მეტის თავგანწირვით იბრძოლებდა და რევოლიუციაც ასე მალე არ განელდებოდა, რომ იმ წითელ დროშაზე, რომელიც მან, მშრომელმა ხალხმა, აფრიალა, მის ბეც ხელმძღვანელებს არ ამოეშალათ ეროვნული იდეალი, ერთა თავისუფლება, თანასწორობა და ერთობა.

ჩვენ კი ამაში დღესაც დარწმუნებული ვართ.

ჩვენ გავათავეთ ავტორის წერილის განხილვა. მკითხველი დამეთანხმება, რომ გ—ვმა თავის წერილის სათაურში დასმულ საკითხზე ვერ მოგვცა სწორი პასუხი და ის კითხვა, თუ როგორ გაიმარჯვეს ჩვენში სოციალდემოკრატებმა, გადაუწყვეტელი რჩება. ეს კითხვა ჩვენ მეტად დიდმნიშვნელოვანად მიგვაჩნია და მით უფრო გვიკვირს, რომ გ—ვს წერილამდე და არც მასუკან არავის არ უსინჯავს ნათელი მოეფინოს ამ კითხვისათვის.

შემდეგში, თუ გარემოებამ ხელი არ შეგვიშალა, ვეცდებით მკითხველს გავუზიაროთ ჩვენი შეხედულება ამ საგანზე. იქნება ბევრი რამ დაგვრჩეს შეუმჩნეველი, იქნება ბევრში შევცდეთ კიდეც, მაგრამ სხვა ვინმე სხვა მხრიდან მოუვლის საკითხს, სხვა განმარტებას მისცემს ამა თუ იმ მოვლენას და ასე და ამგვარად ბოლოს და ბოლოს აზრთა შეტაკებისაგან დაიბადება ჭეშმარიტება.

**ინ.**

ჯერ არ არის გამოკვლეული. ოცდა ექვს მარტს სხულუხიას საქმის გამო მოვიდნენ სავექე სასამართლოს წარმომადგენელნი. მაგრამ იგი იქ არ დაუხვდათ. სხულუხიასი გაქცევის გამო დაუჭერიათ ციხის ზედამხედველი ი. გაგუა, მისი თანაშემწე კ. ჩაჩავა და ყარაული ცაავა. სასტუმროსა და რესტორანებში ცხარე ჩრეკა იყო. **აქაური.**

---

**ს. დუაბზუ** (გურია). მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ს. დუაბზუ ნასკირალის საქმის შემდეგ თითქმის ნახევრად გადასწვეს. გურულთა სასარგებლოდ შეკრებილ ფულიდან თუმცა დახმარება აღმოუჩინეს დაზარალებულ ოჯახებს, მაგრამ დახმარებამ პირიც ვერ მოსწმინდა მათ და 1905 წლის აქეთ დუაბზუელები მოდიან და მოსტირიან თავიანთ ბედს. მრავალი ხალხი უსახლკაროდ არის, სხვებს არავითარი სადსარი ცხოვრებისა აღარ მოეპოვებათ და რასაც დღიურად იშოვნიან, დღიურადვე ხარჯავენ. თუ ვისმეს საქონელი გააჩნდა, გაჭირვებულმა მდგომარეობამ გააყიდვინა და დარჩა გლეხი თავის ხელების ამარა!

ასე მიმდინარეობდა საქმე, რომ დუაბზუს მეორე უბედურება დაატყდა. მარტის შუა რიცხვებში სოფელში მოვიდა ახლად დანიშნული ბოქაული სტრაჟნიკებით და ხალხს მოსთხოვა იმ გოგიტიძის გაცემა, რომელიც იმის ცნობით, საკაცით უნდა მოეტანათ ჭრილობის გამო სოფელ დუაბზუში. ხალხმა არ იცოდა და ვერ უჩვენა ბიჭა გოგიტიძისა; გახელებულმა ბოქაულმა 12 კაცი დაპატიმრა და გაგზავნა ოზურგეთში. ამანაც რომ ვერ გასჭრა, მაშინ ბოქაულმა თავი მოუყარა ხალხს და გამოუცხადა, რომ თუ გოგიტიძეს არ გასცემთ, დაჯარიმება მოგელით. ხალხმა მოსათიქრებლად ვადა ითხოვა, რომლის შემდეგ კვლავ გაჩნდა ბოქაული სტრაჟნიკებით და ეაზახებით და რა შეიტყო, რომ ხალხი გოგიტიძის გაცემას არ აპირებს, 3000 მანეთით დააჯარიმა. შეუდგა კიდეც ფულის კრებას. რას მოასწავებს ეგზეკუცია და ფულის კრება, გურულებმა ეხლა კარგად იციან. ამიტომ ცემატყეპისა და დაპატიმრების თავიდან ასაცილებლად, ხალხმა უკანასკნელი მარცვალი სიმინდი გაჰყიდა, ხბო არ შეინარჩუნა სახლში და ისე გაისტუმრა. ბოქაული დაკმაყოფილებული წავიდა, ხოლო რამდენად კმაყოფილია ხალხი, ამისი გამოცნობა მკითხველისთვის მიგვინდვია.

გურიაში წრეულს კარგი მოსავალი იყო სიმინდისა; ჩვეულობრივ პირობებში იგი ხალხს საჭმელადაც ეყოფოდა და გასასყიდადაც გაიტანდა ბაზარში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იშვიათ ოჯახს ნახავთ ამ ჟამად გურიაში, განსაკუთრებით იქ, სადაც ეგზეკუციები და დამსჯელნი რაზმები თარეშობდნენ, რომ სიმინდი არ აკლდეს.

ყოველ ნაირი ხარჯი და გადასახადი წარსული და აწმყო, ჯარიმები, ეგზეკუციები და სხვა ამ გვარი გურულმა გადაიხადა სიმინდით, რომელიც უკვე შემოქლია და ეხლა გლეხი იმაზეა დაფიქრებული, როგორ მოუპოვოს ოჯახს სიმინდი, რომელიც ჩალის ფასად გაჰყიდა და ეხლა ერთი ორად და ერთი სამად მეტად უნდა იყიდოს. რითი? ვეკითხავთ ჩვენ. **მოხული.**

---

## თეატრი და ხელოვნება

— : —

**წარმოდგენა „რენესანს“-ში** „რენესანს“-ში გუშინ წინ ქართული წარმოდგენა იყო. ამ უხეირო ბალაგანს ნეტა ვინ დაარქვა ასეთი სახელი? დარწმუნებული ვარ, ეს სახელი ამ თეატრს ვინმე ოხუნჯმა უწოდა.

უპირველეს ყოვლისა, თუ არ პირველ რიგში მყოფი, სხვა ვერაფერს დაინახავს. ამ მოთხოვნილების ასასრულებლად საჭიროა ან არტისტები შესდგნენ ორჩოფეხებზე და ისე ითამაშონ, ან დამსწრენი უნდა შეასხდნენ ერთი მეორეს მხრებზე, რასაც გუშინ წინ დამსწრე საზოგადოება გულმოდგინედ და ხელოვნურად ასრულებდა. თითქმის არც ერთი სიტყვა არტისტისა არ შეიძლებოდა გაგეგო, რადგან ყვირილს არა ჰქონდა დასასრული: ვის თავი უშლიდა წინა მჯდომისა, ვის ქუდი; ვინ მაღალი, ვინ დაბალი. ასწორებდნენ, არიგებდნენ, უჯავრდებოდნენ, ემუქრებოდნენ, ცოტა გინებასაც კი ურევდნენ წესიერების აღდგენის დროს, მაგრამ ხმაურობა, ლაზ-ლაზი არა სწყდებოდა და ტყუილად ვცდილობდით გულდასმით არტისტის ოცი-ოდ სიტყვის ერთმანეთზე მკაფიოდ მოსმენას. ასეთი იყო ეს „რენესანი“ გუშინ თავის „რენესანულ“ დამსწრეებით. შენი კი არ ვიცი, მკითხველო, და მე კი ღმერთმა დამიფაროს ასეთ „რენესანობისაგან“. მგონი, ქუდი რო ვინმე შემიგდოს, ფეხი აღარ შევდგა ამ დიდებულ „რენესან“ ტაძარში.

საზოგადოება ბლომად იყო და მგონი, როგორც მე, ქ-ნის ჩხეიძის მონაწილეობის გამო იყო მოსული. როგორც ყოველთვის მშვენივრად ჩაატარა თავის როლი ამ მსახიობმა ქალმა; იმისმა გატაცებულმა თამაშმა ბოლო მოქმედებაში რამდენიმე წუთით დაიმონავა თითქმის მთელი საზოგადოება, ცოტა სიჩუმე დაეტყო ზალას და დამსწრეთა შორის ქვითინმა და ტირილმა დაჰფარა ხმაურობა და ჩურჩული უკანა რიგებისა.

**დამსწრე.**

---

## ღია წერილი

ბ-ნთ ფილიპე მახარაძეს და მიშა დავიდოვს.

ჩვენ ტფილისის უმუშევართა კავშირის საბჭოს წევრები, ათას ხუთას კაცის წარმომადგენლები, წინადადებას გაძლევთ უკანვე წაიღოთ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ის შეურაცხმყოფელი სიტყვები, რომლითაც თქვენ მიმართეთ ჩვენ გამოგზავნილ კაცებს ჩვენს შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში გიწვევთ სამედიატორო სამართალში.

**უმუშევართა კავშირის საბჭო.**

---

# დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

3 აპრილს სათათბიროში შეიტანეს შეკითხვა დამსჯელ რაზმების მოქმედების შესახებ გურიაში წერეთელმა სთქვა ძლიერი სიტყვა საზოგადოთ საქართველოს განადგურების შესახებ დამსჯელ რაზმებისაგან.

მოიხსენია „ცნობის ფურცლის“ დაკეტვის ისტორია. გულშემზარავმა ფაქტებმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ კრებაზე წერეთელი მშვენიერი იყო როგორც ორატორი და როგორც დამცველი განადგურებულ ქვეყნისა.

**ბოლქვაძე**

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 აპრილი.

**პეტერბურგი.** ბრიანსკის ქარხნების ადმინისტრაციამ დაადგინა, განაახლოს მუშაობა.

ვორონეჟში მოჰკლეს ორი და სემენოვი. სასიკვდილოდ დასჭრეს მოსამსახურე ქალი. გვამებს ნავთი გადაასხეს, სახლს ცეცხლი წაუკიდეს.—ვარშავაში პარტიულ ნიადაგზე სასიკვდილოდ დასჭრეს ერთი მუშა. კოლოგრივის მაზრის სოფ. სოლოვიევკაში მოჰკლეს გლეხი მონარქისტი.—ლოძში, ანდრიას ქუჩაზე, მოჰკლეს მუშა.—კრასნოიარსკში მძიმედ დასჭრეს რკინის გზის დეპოს უფროსი მუშა, რომელსაც სასტიკი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი.—მელიტოპოლის მაზრაში დასჭრეს გლეხი, მოჰკლეს მისი ცოლი, წაიღეს 1000 მანეთი.—ლოძის მაზრაში მძარცველებმა სასიკვდილოდ დასჭრეს გეტიგა, მოჰკლეს ვაჟი.—პოსად ყიხლინში, ხუტორ კუნტოს ახლოს აკუწეს მჭედელ ებრაელის ოჯახი; ოთხი მოკლულია, სამი მძიმედ დაჭრილი.—გომელში დასჭრეს მოქალაქე გუტერმანი.—დომბროვოში სამი კაცი დაეცა მღვდელს; ერთი მათგანი ჯარის კაცებმა მოჰკლეს, როცა დასაჭერად გამოედევნენ.—სევასტოპოლში ხერსონსკის მონასტრის უწყლო ჭაში ორი გატენილი ყუმბარა იპოვნეს.

**ცირასპოლი**. თავად-აზნაურთა კურიამ საერობო ხმოსნებად სულ მემარჯვენენი აირჩია.

**რიგა**. ტუსაღების მიერ დაჭრილი ჯარის კაცი გარდაიცვალა.

**სიმფეროპოლი**. მთავრობამ გაფიცვის გამო კოიმბრში უნივერსიტეტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები დახურა.

**პეტერბურგი**. რიყეზე განმარტოვებულად მდგომ სახლში იპოვნეს: სამი გატენილი ყუმბარა, დინამიტი, სხვა ასაფეთქებელი მასალა და ბევრი არა ლეგალური ლიტერატურა. ამ სახლში სცხოვრობდა მოწყალების და ზობოვისა, რომელმაც თავისს მოკალა განიზრახა.

**მინსკი**. გამოარკვიეს მდგომარეობა იმ ანარქისტ-კომუნისტებისა, რომელთა მეთაურებიც ამ დღეებში დაიჭირეს. ანარქისტებს სამი სახლი ეჭირათ, უმთავრესი მათი საქმე იყო ექსპროპრიაცია. ერთ მეთაურს, რომელიცა ეხლახან ჩამოვიდა და ბინდვოვსკის გვარს ატარებდა, უპოვნეს მიწერ-მწოერა შვეიცარიელ ანარქისტებთან.

**პეტერბურგი**. საზოგადოებათა ნებადაურთველმა საკრებულომ მოისმინა კადეტების საზოგადოების დამაარსებელთა გესენის, ჟამინკის, მილიუკოვის და სტრუვ ს საჩივარი საკრებულოზე, რომელმაც არ დაამტკიცა საზოგადოება. საკრებულომ დაადგინა საჩივარი სენატს გადასცეს.

**პეკინი**. ჩინეთის მთავრობამ იაპონიას აცნობა: რადგან სამხრეთ მანჯურიიდან ჯარი გაიყვანეთ, ეხლავე ამ პროვინციის განახლებას შევუდგებიო. მანჯურიაში ახლად დანიშნული მეფის მოადგილე ცრიუ-სი-ჩანუ განსაკუთრებულ უფლებებითაა შემოსილი.

**ლოძი**. ჩენსტოხოვსკის ქუჩაზე დასჭრეს მუშა. პულჩანსკის და მილშას ქუჩების კუთხეში სამის ტყვიით მძიმედ დასჭრეს მუშა, მსუბუქად მუშა-ქალი, მოჰკლეს შემთხვევით მიმავალი კაცი.

**მექსიკა**. 2 აპრილს მიწის ძვრამ დაანგრია ორი სოფელი—ჩილპანცინგო და ჩილაპა. მოკვდა 11, დაიჭრა 27 კაცი.

**ლოძი**. 2 აპრილს საღამოთი პაზიანიცკის გზატკეცილზე უცნობთ ფანჯრიდან ესროლეს და დასჭრეს ერთი მუშა.

**ვარშავა**. ზელნი ქუჩაზე განგელსმანის კონტორის წინ იპოვნეს ასაფეთქებელი იარაღი,

**ბრიანსკი**. დაეცნენ თოფის წამლის სარდაფს, მაგრამ როტა დროზე აღმოჩნდა. თავდამსხმელნი მიიმალნენ.

**პეტერბურგი**. 3 აპრილს ნუშუადღევის ორ საათზე, პეტერბურგის უნივერსიტეტის ხაზინადართან შევიდა ვიღაც ოთხი ახალგაზდა, «ხელები ზევითა»-ო დაუყვირეს და რევოლვერები დაუმიზნეს ხაზინადარს და მის თანაშემწეს. წაიღეს 2000 მანეთი და მიიმალნენ.

**ოდესა**. წყლის მილის სადგურთან იპოვნეს ორი უშველებელი ყუმბარა. პოლიციის აზრით ამ ყუმბარებით ტუსაღების განთავისუფლება სურდათო. როცა ტუსაღებს საპატიმროდან სადგურისაკენ ამქადგილის ახლო გაატარებდნენ, ყუმბარას ააფეთქებდნენ და აურზაურის დროს პატიმრებს გაანთავისუფლებდნენ.

**პეტერბურგი**. 3 აპრილს საერო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით დაიწყო უნივერსიტეტთა რექტორებისა და სხვა უმაღლეს მასწავლებელთა უფროსების კრება. მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ მას აზრად არა აქვს შეზღუდოს 1905 წლის 27 სექტემბრის ბრძანება უნივერსიტეტის ავტონომიის შესახებ, პირ იქით მოწადინებულია განამტკიცოს იგიო. შემდეგ კრება შეუდგა სტუდენტთა ორგანიზაციების საკითხის განხილვას.

სიკვდილით დასჯა კატორგად შეუცვალეს ხარკოვში—იარავოის, ვარშავაში—ორჟესოვსკის და გლავაჩს, ეკატერინოსლავში—კიმენკოს.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი




მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ **ოდოლი** პირველი და ჯერ-ერთად-ერთი საშვალებაა კბილების გაფუჭების წინააღმდეგ. ასეთი მოქმედება აიხსნება ოდოლის იმ თვისებით, რომ იგი ცარიელ კბილში შედის, აგრეთვე ღრძილებში და სწმენდს და ამაგრებს მათ; კბილში და ღრძილში ოდოლი სტოვებს **გახრწნის წინააღმდეგ** ნაწილებს, რომელთა მოქმედება და გავლენა კბილსა და ღრძილზე **რამდენსამე საათს** გრძელდება, მაშინ როდესაც სხვა ამგვარი საშუალებანი მოქმედებენ მხოლოდ ხმარების დროს. ოდოლი არ აფუჭებს არც ემალს და სპობს პირში ყოველ ცუდ სუნს; მისი მოქმედება, პირში გამოვლების შემდეგ, რამდენსამე საათს კიდევ გრძელდება.

ერთი ფლაკონი, რამდენიმე თვის სამყოფი, ღირს 1 მან. 50 კაპ.

(1—№ 10—1) (Метцль и К° 253973)

---

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

**დაარსებულია 1880 წ.**

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ყოველ დღე, კვირეებს გარდა.**

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**ჟ. გ. აველიჩიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა**: 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი**; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—58)

---

## ქართველ

**ახალგაზდა მწერალთა, მთარგმნელთა, წიგნების გამომცემელთა და მესტამბეთა საყურადღებოდ.** ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

**ადრესი**: ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა, № 12. **პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.**

(30—უ.—12) ია ეკალაძე-ცინცაძე.

---

**გამოვიდა და დარიგდა გასაყიდად**

ახალი ქართული წიგნი

## ცოდნა და რევოლიუცია

გადმოკეთებული მთაგორელისმიერ, გამოცემა „გუთნისა“; ფასი 7 კაპეიკი. (5—უ—3)

---

## ქუთაისში

## კიწმარიშვილის და ამხ.

**თესლეულობის კანტორამ**

მიიღო დიდ-ძალი იონჯის, კოინდრის, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბჟოლის და ყოველგვარ ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობა. პრეისკურანტები ყველას უფასოდ. (30—ფ.—15)

---

ქ უ თ ა ი ს შ ი

გაიხსნა საწყობი ნამდვილი

## ყიფიანის ღვინისა

ქაიხოსრო ოტიას ძე ყიფიანის საკუთარი ვენახებიდან. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენია.

ქუთაისი, ვ. ქილაძის შენობაში სობოროს პირდაპირ, „კომერციულ“ სტამბის გვერდით. (15—კვ.—15)

---



# ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი**: პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ფАБРИЧНОЕ КЛЕЙМО С.ПЕТЕРБУРГЪ

ნარდად შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

## ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

## „ლეოპოლდ ნეიშელლერ“

ტელეფონი № 346, **ტფილისში**, ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—14)




ეროვნული ბიბლიოთეკა